ლელო

№32
(10943)

აგვისტო. 1995 წ.
ფასი 1000 რუბლი, ან 250 000 კუპონი.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

**ევროპის საკლუბო ტურნირებში ჩვენი სამი გუნდიდან შემდგომ ეტაპზე მხოლოდ ბათუმის „დინამო“ გავიდა. ბათუმელთა ახალი მეტოქე იქნება შოტლანდიის ქალაქ გლაზგოს „სელტიკი“. პირველი მატჩი გაიმართება ბათუმში 14 სექტემბერს, საპასუხო — გლაზგოში, 28 სექტემბერს.**



„ობილიჩის“ კარს უტევს ბათუმის „დინამო“. ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

# უეფას დელეგაცია საქართველოში

თბილისში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა უეფას დელეგაცია პრეზიდენტ ლენარტ იუჰანსონის მეთაურობით. დელეგაციაში შედიან: უეფას გენერალური მდივანი გერჰარდ აიგნერი, პრეზიდენტის ატაშე რუდოლფ როტენბიულერი, უეფას აღმასკომის წევრი პერ ომდალი, უეფას გენერალური მენეჯერი ერიხ ეპლე.

## „სელტიკი“ — ბათუმელთა მეტოქე

„სელტიკი“ ცნობილი გუნდია საერთაშორისო ფეხბურთში. გარდა იმისა, რომ იგი მრავალგზის ფლობდა თავისი ქვეყნის ჩემპიონის ტიტულს და თასს, 1967 წელს „სელტიკმა“ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მოიპოვა — ფინალში იტალიის „ინტერს“ მოუგო 2-1, სამი წლის შემდეგ კი ამავე გათამაშებაში ფინალში წააგო ჰოლანდიის „ფეიენოორდთან“ 1-2.

ბოლო წლებში შოტლანდიაში მუდმივი მეტოქის „გლაზგო რეინჯერსის“ გარდა დაწინაურდა რამდენიმე სხვა გუნდიც („აბერდინი“, „დანდი იუნაიტედი“, „პატრიკ თისტლი“ და სხვ.), ამდენად „სელტიკს“ წამყვან პოზიციებს უკვე სხვებიც ეცილებიან, კერძოდ, შოტლანდიის განვლილ ჩემპიონატში მხოლოდ IV ადგილი დაიკავა, თუმცა თასის მოპოვება კი შეძლო — ფინალში „ეირდრი“ დაამარცხა 1-0.

„სელტიკის“ საუკეთესო მოთამაშეთა შორის არიან: პოლ მაკსტეი (კაპიტანი), ენდი გორამი (ქვეყნის ნაკრების მეკარე), რუდი ვატა (გადავიდა ალბანეთიდან), პიტერ ვან ჰოიდონკი (ჰოლანდიიდან), ტომი ბოიდი, ჯონ კოლინზი, ჩარლი ნიკოლასი (სამივე — ქვეყნის ნაკრებში შედის). წლეულს კლუბმა შეიძინა ანტრეას ტომი (გერმანიის ნაკრების ყოფილი წევრი ლივერკუზენის „ბაიერიდან“).

ბაზეთ „ლელოს“ რედაქცია დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავს ამავე გაზეთის ყოფილ რედაქტორს **ანზორ ბასილაიას**.

## „დინამო“ (ბათუმი) — „ობილიჩი“ (ბელგრადი) 2-2 (0-2)

24 აგვისტო. ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი.
„დინამო“: ბალაძე, მალანია (მუჯირი), შანიძე, სიჭინავა (ღლონტი), შეყილაძე, თორღაშვილი, მახარაძე, მაჭუტაძე (კანტიძე), ტულუში, უჯმაჯურიძე, მინდაძე.
„ობილიჩი“: შარიჩი, ზოიჩი, მარკოვიჩი, ნოვიჩი, ვუტკრევიჩი, პიროშევიჩი, ტოშიჩი, რაშიჩი, პოპოვიჩი, შარანცი, სპასიჩი.
მსაჯი ლ. სუნდელი (შვეცია).
გოლები: შარანცი, პოპოვიჩი, მაჭუტაძე, მუჯირი.

სამტრედიელთა და თბილისის დინამოელთა წარუმატებელი თამაშის შემდეგ მთელი ჩვენი ყურადღება ბათუმის „დინამოსადმი“ იყო მიპყრობილი, რაც გუნდის ისედაც მაღალ პასუხისმგებლობის გრძნობას აორმაგებდა, მით უმეტეს, რომ ბათუმლები პირველად გამოდიოდნენ საკუთარ ახლად რეკონსტრუირებულ სტადიონზე.

მატჩი ორმხრივი იერიშებით დაიწყო. ბელგრადელებს თითქოს დასაკარგი არაფერი ჰქონდათ და უფრო თამამად თამაშობდნენ. ბათუმელთა მომეტებულ პასუხისმგებლობას ნერვიულობა მოჰყვა. მათ შეცდომები მოსდიოდათ, კარში დარტყმებიც უზუსტო იყო.

დინამოელებმა მე-12 წუთზე კიდევ ერთი შეცდომა დაუშვეს და შარანცმა 15-17 მეტრიდან საჯარიმოთი ანგარიში გახსნა. მასპინძელთა საპასუხო იერიშებს ქაოსური ხასიათი ჰქონდა. შეტევების აგებას ისინი ტულუშზე ცდილობდნენ, რომელსაც მოწინაალმდეგის მცველები თვალმოუშორებლად დარაჯობდნენ.

35-ე წუთზე ბელგრადელებმა ახალი წარმატებული კონტრშეტევა განახორციელეს, წინ გამოსულმა ბალაძემ ვერ შეძლო პოპოვიჩის დარტყმის მოგერიება და ანგარიში 0-2 გახდა.

ფრთიანი გამოთქმა, რომ „მეორე ტაიმს მწვრთნელი იგებს“, კიდევ ერთხელ დაადასტურა ბათუმელთა მწვრთნელმა ვალერიან ჩხარტიშვილმა: მეორე ტაიმის დასაწყისში მან მალანიასა და სიჭინავას ნაცვლად მუჯირი და ღლონტი შემოიყვანა, გუნდსაც სათანადო მითითებები მისცა და „დინამოს“ უკვე ველარ იცნობდით, იგი ქარტეხილივით დაატყდა მეტოქეს, გოლიც თანდათან მწიფდებოდა. მე-60 წუთზე ღლონტი ძლიერად ურტყამს საჯარიმოს, მეკარე შარიჩი ძლივს იგერიებს ბურთს კუთხურზე. თავგანწირვით თამაშობს იუგოსლავიელთა კაპიტანი ზოიჩი, მაგრამ ბათუმელთა მძლავრი იერიშების შეჩერება მას უკვე აღარ ძალუძს. იუგოსლავიელები მოთამაშეთა შეცვლის ხარჯზე აძლიერებენ დაცვას. მაგრამ მოსახდენი მაინც მოხდა: მაჭუტაძე 62-ე წუთზე ასრულებს სოლო გარღვევას და შორი მანძილიდან ურტყამს, მეკარე შარიჩი ამჯერად უძლური აღმოჩნდა — 1-2. პირველმა წარმატებამ დინამოელებს ფრთები შეასხა. ისინი ზედიზედ ქმნიან სახიფათო მომენტებს მეტოქის კართან, 70-ე წუთზე ძლიერად დარტყმული ბურთი ხელიდან გაუვარდა მეკარეს, ტულუში ახლო მანძილიდან აცილებს კარს, რამდენიმე წუთის შემდეგ მუჯირი ზედიზედ ატყუებს მეტოქის მცველებს, შედის საჯარიმოში, მაგრამ დამაგვირგვინებელ დარტყმას ვერ ახერხებს. ხშირად და სახიფათოდ უტევს შეყილაძეც. 76-ე წუთზე მან შესანიშნავი რეიდი განახორციელა საკუთარი საჯარიმოდან მეტოქის საჯარიმომდე, მაგრამ ზუსტად ვერ დაარტყა.

ნერვიულობა ახლა იუგოსლავიელებს დაეუფლათ, ისინი ხშირად უხეშობენ, ჯარიმის ზღვარზე თამაშობენ.

82-ე წუთზე მეტოქის მოედანზე აშკარად უხეშად ეთამაშნენ უჯმაჯურიძეს. მსაჯმა ლ. სუნდელმა უყოყმანოდ დანიშნა პენალტი, რომელიც შესანიშნავად დაარტყა მუჯირმა და მატჩი ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა.

ფრე 2-2 სწორედ ის შედეგია, რომელმაც შემდეგ წრეში თამაშის უფლება მოუპოვა ბათუმის „დინამოს“. მატჩის შემდეგ დაასახელეს საუკეთესო მოთამაშეები — ბათუმელთა შორის მუჯირი, იუგოსლავიელთაგან კი ზოიჩი. პრესკონფერენციაზე ვ. ჩხარტიშვილი ოპტიმისტურად იყო განწყობილი. „საბოლოო წარმატებაში ეჭვი არ შემპარვია, ჩვენი დამარცხება შეიძლება მხოლოდ შემთხვევითი ყოფილიყო, ბიჭებმა ყველაფერი გააკეთეს წარმატების მისაღწევად და ღირსეულადაც დაიმსახურეს იგი“.

იუგოსლავიელთა მწვრთნელმა ბათუმელთა რიგებში საუკეთესოებად მაჭუტაძე და უჯმაჯურიძე დაასახელა, წარუმატებლობის მიზეზად კი თავისი გუნდის ახალგაზრდულიასაკი და საერთაშორისო მატჩების გამოუცდელობა.

ბათუმის დინამოელთა გუნდს გათამაშების შემდგომ ეტაპზე გასვლა მიულოცა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ბ-მა ასლან აბაშიძემ, მან განაცხადა, რომ მიუხედავად ამ მატჩის შედეგისა, როგორც არ უნდა დამთავრებულიყო იგი, დინამოელთა მთელი გუნდი ქებას იმსახურებს იმ დიდი სიხარულისთვის, რაც მათ გულშემატკივრებს აჩუქეს. გარდა ამისა, იგი დაგვპირდა, რომ სტადიონი, რომლის რეკონსტრუქციაც ეტაპობრივად გრძელდება, მომავალში ერთ-ერთი საუკეთესო იქნება.

## „სამტრედია“ (სამტრედია, საქართველო) — „პარდარი“ (სკოპლე, მაკედონია) 0-2 (0-2)

22 აგვისტო. ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი
„სამტრედია“: ჭანტურია, იონანიძე, გუჩუა, ბერაძე, ჯიშკარიანი (ბ. დარა-

იხ. მე-4 გვ.

## შეიქმნა აჭარის ორგანიზაცია

ბათუმში გაიმართა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის აჭარის ორგანიზაციის დამფუძნებელი კონფერენცია. თავმჯდომარედ აირჩიეს მუხრან კობალაძე, პასუხისმგებელ მდივნად — ოთარ მურვანიძე. ორივე მათგანი სხვადასხვა დროს გაზეთ „ლელოს“ საკუთარ კორესპონდენტად მუშაობდნენ აჭარაში.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი.

# ანდრე აგასი: ღვთის მადლით ლოთი და ნარკომანი არ გავხდი!



**მაშინაც კი, როცა მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელად არ თვლიდნენ, გაზეთები აჭრელებული იყო მისი პორტრეტებით. ანდრე აგასის სანახავად უამრავი ხალხი დადიოდა. არ ჰქონდა მნიშვნელობა იმას, რომ ედბერგს, ბეკერს ან ლენდლს მსოფლიო კლასიფიკაციაში უფრო მაღალი ადგილი ეკავათ. მაყურებელს მოსწონდა აგასის თამაში, თვითონ ჩოგბურთელი, და იმ კორტს აწყდებოდა, სადაც „გაუწონასწორებელი ამერიკელი“ გამოდიოდა. ფორმაში თუ იყო, ნებისმიერ მეტოქეს უგებდა, თუ არა და, ისეთს მოიმოქმედებდა, რომ მერე ყველას პირზე ეკერა მისი სახელი. 1990 წელს ატპ-ს სერიის ფინალურ ტურნირზე ფრანკფურტში ჟურნალისტებზე გაბრაზებულმა (ეჭვი შეიტანეს მის შესაძლებლობებში) ზედიზედ მიაწყო სამივე ფავორიტი და ტურნირის მთავარი პრიზი დაიმსახურა. განსაჯეთ თავად, როგორი საქმე იყო მაშინ სტეფან ედბერგის, ბორის ბეკერისა და ივან ლენდლის დამარცხება ერთ ტურნირში? ხანდისხან ანდრე აგასი მართლაც აჭარბებდა თავის თავს.**

ვინც ახლოსაა მასთან, ხშირად იმეორებს — აგასი ჩემპიონად არის დაბადებულიო. სხვათა შორის, ასე ფიქრობდნენ მაშინ სკეპტიციზმით განთქმული სპეციალისტებიც. მაგრამ, ცნობილია ისიც, რომ აგასის ფანტასტიკური აღზევება მხოლოდ ღვთის მადლი და ბედის წყალობა არ გახლდათ. აგასი მტკიცე ხასიათისა და დიდი ნებისყოფის მშრომელად დაიბადა, რომელსაც თანმიმდევრულად უნდა განეხორციელებინა მამის ჩანაფიქრი.

ექვსი თვის ანდრეს მამამ სასთუმალთან ჩოგანი დაუკიდა და საწოლი პატარა ბურთებით აუვსო. ეს იყო ჯადო, რომელსაც ბავშვის მომავალი უნდა განესაზღვრა. ემანუელ აგასი, დღეს აშშ-ს სრულუფლებიანი მოქალაქე და ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სპორტსმენის მშობელი, წარმოშობით სომხეთიდან ყოფილა. ახალგაზრდობაში ოჯახი ირანში გადასახლებულა. იქ გაიტაცა ემანუელი სპორტმა, იქ გახდა ირანის ერთ-ერთი უძლიერესი მოკრივე, რომელმაც მერე ორჯერ მოსინჯა ძალა ოლიმპიურ თამაშებში, მაგრამ ვარსკვლავები თავის სფეროში არ მოუწყვეტია.

რელიგიური დევნა გახდა იმის მიზეზი, რომ ემანუელ აგასიმ ოჯახთან ერთად ირანიდან შეერთებულ შტატებს შეაფარა თავი და ხელი აიღო მემკვიდრეობით ბიზნესზე ხე-ტყის დამზადების დარგში. თავდაპირველად აგასები ჩიკაგოში დაფუძნდნენ, მაგრამ ვინაიდან ოჯახის უფროსს ერთ ადგილზე ჯდომა დიდხანს არ შეეძლო, ჩიკაგოდან ლას-ვეგასში გადაბარგდნენ. აქ ემანუელი საათობით შესცქეროდა ტელეგადაცემებს ჩოგბურთზე, რომლებშიც ყველაზე მეტად მოსწონდა ფულადი პრემიებით დაჯილდოების ცერემონიალი და თვით პრემიების ოდენობა. ემანუელ აგასიმ ავადმყოფურად შეიყვარა ჩოგბურთი, განსაკუთრებით კი დოლარები, რომელიც კარგ თამაშს მოჰქონდა. სწორედ მაშინ მიიღო გადაწყვეტილება: თუ ოდესმე ვაჟი მეყოლა, უსათუოდ დიდ ჩოგბურთელად გავზრდიო. დიდი ჩოგბურთის ქვეშ იგი გულისხმობდა აშშ-ს ნაკრებ გუნდში დევისის თასზე თამაშს. სხვა პრეტენზიები ემანუელს მაშინ არ ჰქონდა.

ყველაფერი კი დაიწყო იმით, რომ იყიდა სახლი პატარა ეზოთი და იქ დიდებული კორტი მოაწყო. ანდრეს დაბადებამდე ამ კორტზე თამაშობდნენ მისი უფროსი ძმა და ორი და. ჩოგბურთთან ოჯახი კიდევ უფრო დააკავშირა იმან, რომ ემანუელის ერთი ქალიშვილი რიტა ლეგენდარულ პანჩო გონსალესს გაჰყვა ცოლად. როგორც ირკვევა, ანდრეს მომავალი მის დაბადებამდე ყოფილა გადაწყვეტილი.

პირველი გაკვეთილები ბავშვმა მამისგან მიიღო. ამ გაკვეთილების დროს განსაკუთრებული ყურადღება მოძრაობის კოორდინაციას ენიჭებოდა. ორი წლის ანდრე მთელ დღეებს კორტზე ატარებდა. მამამ სპეციალურად შეუკვეთა პატარა ზომის ჩოგანი, დაამზადებინა ავტომატი, რომელიც ბურთებს ისროდა საათში 90 მილის სისწრაფით. შემდეგში ემანუელმა ეს აპარატი თავის ჭკუაზე გადააკეთა და სისწრაფე 120 მილამდე გაზარდა. ამ აპარატთან ატარებდა დღეებს პატარა ანდრე.

მაგრამ ბავშვს სხვა ინტერესებიც გაუჩნდა. ერთხანს ითმინა, ითმინა, მერე კი თავს რომ ვერ მოერია, აჯანყდა. მით უფრო, ლას-ვეგასში ჩოგბურთის გარდა სხვაც ბევრი იყო გასართობი. თანამოაზრეებსაც მალე მიაგნო და დაიწყო „ტკბილი ცხოვრება“. ამ პერიოდში ოჯახის მთავარი საზრუნავი იყო გზასაცდენილი ყმაწვილის გადარჩენა.

ანდრე იგონებს: „ნიკ ბოლეტიერის საჩოგბურთო აკადემიის არ-

ანდრე აგასი იხ. მე-2 გვ.

# ანდრე აგასი: ღვთის მადლით ლოთი და ნარკომანი არ გავხდი!

(პირველი გვერდიდან)

სებობის შესახებ მამამ ტელევიზიით გაიგო და მაშინვე გადაწყვიტა, რომ ჩემი ადგილი იქ იყო. მამას განსაკუთრებით ხიბლავდა ის, რომ ბოლეტიერი მომავალ ვარსკვლავებს კონვეიერული სისტემით უშვებდა."

აკადემიაში სწავლების პირველ წელს ანდრემ 40 ჩოგანი დაამტვრია. „მე თავს ვთვლიდი მარტოხელა, უბედურ ახალგაზრდად, რომელიც ყველამ მიატოვა, ყველამ გარიყა. ეს გულწრფელად მაბრაზებდა, მაგრამ სიბრაზეში უკეთ ვთამაშობდი, რწმენა და სიჯიუტე მემატებოდა".

იყო სხვა პრობლემებიც. მათ შესახებ აგასი უფრო დაწვრილებით გაზეთ „თუდეის" კორესპონდენტს ესაუბრა: „ერთხანს, თქმა არ უნდა, აუტანელი ყმაწვილი ვიყავი. ვიბრძოდი ყოველგვარი აკრძალვების წინააღმდეგ. მოვუშვი თმა, ვინაიდან სკოლაში შეკრეჭას მთხოვდნენ. „ჯეკ დანიელსის" არაყს პირდაპირ ბოთლიდან სულმოუთქმელად ვსვამდი. მერე „ბალახის" წევასაც მივეჩვიე. ბოლეტიერი ამ ცოდვას არავის ჰპატიობდა, რაც მე სასტიკად მაღიზიანებდა. ერთი-ორჯერ დანაშაულზე წამასწრეს. შედეგი სავალალო იყო: მთელი კვირა ჭურჭელს მარეცხინებდნენ და სხვების ოთახსაც მალაგებინებდნენ, თანაც დასვენების დღეებს მართმევდნენ, რაც ჩემთვის ყველაზე მწარე სასჯელი იყო.

გამოვსწორდი შემთხვევით, როცა ერთმა ყმაწვილმა სახარების წაკითხვა მირჩია და წიგნი თვითონვე მომიტანა. ნელ-ნელა ბევრ რასმე მივხვდი, ჭკუაზე მოსვლა დავიწყე. სმას თავი დავანებე, ნარკოტიკებიც გადავყარე, შევეშვი სხვა უმსგავსოებებსაც. ღვთის მადლით ლოთი და ნარკომანი არ გავხდი!"

მისი პროფესიული დებიუტი 1986 წლის 1 მაისს შედგა. მაშინ ამერიკული ჩოგბურთი მძიმე დღეებს განიცდიდა. მაკინროუმ და კონორსმა მსოფლიო კლასიფიკაციაში პირველი ადგილები დაკარგეს, მათი შემცვლელი კი ჯერჯერობით არავინ ჩანდა. 16 წლის აგასი, მასზე უფრო ახალგაზრდა ჩანგი და სამპრასი მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამდნენ. ანდრემ უფრო ადრე დაიმკვიდრა ადგილი დიდ ჩოგბურთში და 87 წლის ოქტომბერში პირველი გამარჯვება იზეიმა — „გრან-პრის" სერიის ერთ-ერთი ტურნირი მოიგო. ერთი წლის შემდეგ კი მსოფლიო რეიტინგით მესამე ჩოგბურთელი გახდა და პირველი საპრიზო მილიონი ჩაიჯიბა. ემანუელ აგასის სიხარულს არ ჰქონდა საზღვარი. ის, რისთვისაც იბრძოდა მთელი თავისი გაძაღლებული ცხოვრების მანძილზე, ბოლოს და ბოლოს რეალობად იქცა.

ანდრეს ბუნებრივი სისწრაფე, სრულყოფილი კოორდინაცია, ყუმბარისებრი დარტყმები მარჯვნივ და, რაც მთავარია, უტყუარი ალღო — ინტუიცია შეუმჩნეველი არ დარჩენილა. მაგრამ მაყურებლებზე არანაკლებ შთაბეჭდილებას სტოვებდა მისი არასტანდარტული, ბევრ შემთხვევაში სკანდალური გამოხდომები. იგი ხან ჩოგანს ამტვრევდა, ხან ლაინსმენის მხარეს იფურთხებოდა და ამით, ხაზს უსვამდა მისდამი დამოკიდებულებას, ზოგჯერ კი მთავარ მსაჯსაც არ ინდობდა. იმ ხანებში ანდრე აგასის სახელის გაგონებაც კი საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელთა თავის ტკივილს იწვევდა. სამაგიეროდ, სპონსორები და განსაკუთრებით გულშემატკივრები მას თაყვანს სცემდნენ, აღმერთებდნენ, იმიტომ, რომ არ იყო ჩვეულებრივი, თვინიერი ჩოგბურთელი.

ბოლო წლებში ხასიათი მკვეთრად შეეცვალა უკეთესისაკენ. ეს შეიძლება ასაკის გამოც იყო, თუმცა საკმაოდ შთამბეჭდავ სპექტაკლებს ახლაც ხშირად აწყობს (მაკინროუსა და კონორსის სტილით). ერთხელ თამაშის დროს მთავარი მსაჯი ჩამოსვა კოშკიდან რაღაც მაქვს სათქმელიო და მის ადგილზე დაჯდა. მეორედ, ერთ გულშემატკივარს ქოლგა გამოართვა და ისე განაგრძო თამაში (მსაჯებს შეახსენა წვიმის გამო თამაშის შეწყვეტაა საჭიროო), ერთხელ კი ლამაზად მოგებული ქულის შემდეგ მსაჯს 100-დოლარიანი გაუწოდა — ქრთამი მიიღე ჩემგანო. მისი გამოხდომები განსაკუთრებით მოსწონდათ ჭკუაანეულ გოგონებს...

იგი ატარებს „ნაიკის" ფირმის მაისურებს და შორტებს. „ებალის" მარკის საათს, თამაშობს ბელგიური წარმოების („დონეის" ფირმა) ჩოგნით. ლასვეგასში მას კიდევ ერთი გატაცება აქვს: ჰყავს ოცზე მეტი მანქანა. ერთ-ერთი მათგანი — სახელდობრ „ვექტორი" საათში 240 მილს ანვითარებს.

როგორი გეგმები აქვს?

თამაშს 30 წლამდე აპირებს. — არა მგონია უფრო ადრე გადავიწვე, — ამბობს იგი, — ყოველ შემთხვევაში, ბორგის, ვილანდერისა და მაკინროუს შეცდომებს არ გავიმეორებ. მაქვს ბუნებრივი ინსტიქტი, რომელიც მკარნახობს, როდის უნდა ავიღო „ტაიმ-აუტი". სწორედ ამ ტაიმ-აუტებით აიხსნება მისი არყოფნა 1989 და 90 წლების უიმბლდონზე. ყველაზე დიდი ბედნიერება მისთვის იყო დევისის თასზე თამაში. ამაზე, ალბათ გახსოვთ, მამამისიც ოცნებობდა.

...ემანუელ აგასი საოცრად დააძაბუნა ინფარქტმა. ანდრეს საქმეები მამამ უფროს ვაჟიშვილს — ფილს გადააბარა. გუნდში, რომელიც მუდამ თან ახლავს სუპერვარსკვლავს, ფილის გარდა შედიან: ბოლეტიერი, აგასის პირადი მცველი გილი — აღმოსავლური ორთაბრძოლების დიდი სპეციალისტი, მწვრთნელი და სპარინგ-პარტნიორი ნიკ ტრილი, სკოლის მეგობარი და იურისკონსულტი პერი როკერსი; აგრეთვე, ბილ შეტონი — კომერციული აგენტი და პრესმდივანი.

მამა მეტწილად ტელევიზორთან ზის და იქიდან ამხნევებს ვაჟიშვილს...

რამდენიმე დამატებითი ცნობა: **ანდრე აგასი დაიბადა 1970 წლის 29 აპრილს ლას-ვეგასში (ნევადის შტატი). სიმაღლე — 180 სანტიმეტრი, წონა — 79 კილოგრამი. თამაშობს მარჯვენა ხელით. ახლანდელი კლასიფიკაციით მსოფლიოს №1 ჩოგბურთელია.**

**საჭადრაკო სამყაროსთვის ჩვეულებრივი ამბავია... ჯერ ქალთა შორის 1995 წლის მსოფლიო პირველობის მატჩი არ გათამაშებულა და უკვე გაცხარებული ბრძოლაა 1997 წლის ასეთივე მატჩში მონაწილეობის უფლებისთვის.**

დიახ, უკვე გათამაშდა ამ შორეული ციკლის მნიშვნელოვანი ტურნირები: ეროვნული ჩემპიონატები, სადაც მსოფლიო ჩემპიონატის ზონალური ასპარეზობის მონაწილეები შეარჩიეს, განვლილია ზონალური ტურნირებიც, ახლა კი დღის წესრიგშია უმნიშვნელოვანესი საზონათშორისო ტურნირი ქალთა შორის, რომელსაც 2 სექტემბრიდან კიშინიოვი უმასპინძლებს. აქ სხვადასხვა ქვეყნის 42 დიდოსტატი და ოსტატი მოიყრის თავს, გამოვლინდება შვიდი უძლიერესი, პრეტენდენტთა შეჯიბრება კი გაისად გაიმართება. ახლა გამარჯვებულებს დაემატებიან მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე (როგორც პრეტენდენტთა უკანასკნელი ასპარეზობის ფინალური სტადიის მონაწილე) და სიუ ჟუნ-ჟუჟა პოლგარის მატჩში დამარცხებული.

**რამდენ ქართველ მოჭადრაკეს შეუძლია დაძლიოს საზონათაშორისო ტურნირი?**

პოპულარულ დიდოსტატს ნანა იოსელიანს ახლა, შეიძლება ითქვას, სათანადო პრაქტიკა არ აკლია. იგი თამაშობს ვაჟთა საერთაშორისო ტურნირებში, სადაც, როგორც წესი, კარგი შედეგები აქვს, მონაწილეობს სხვადასხვა გუნდურ შეჯიბრებაში, რომლებიც ჩეხეთში იმართება (ნანა დროებით პრაღაში ცხოვრობს, სადაც კონტრაქტი აქვს ერთ-ერთ ადგილობრივ კლუბთან), ამას წინათ გამოვიდა „სენიორებისა" და „ქალბატონების" ტრადიციულ მატჩ-ტურნირში. ნანას ნათამაშევი აქვს ორი მატჩი მსოფლიო პირველობაზე, ეს ისეთი გამოცდილებაა, რომელსაც ვერაფერი შეცვლის. შორსმიმავალი დასკვნებიდან ჩვენ, რასაკვირველია, თავს ვიკავებთ, იმაში კი მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ „საზონათშორის ჯებირს" ნანა იოსელიანი ნამდვილად გადალახავს. ნანას (დაიბადა 1962 წ. 12 თებერვალს) ჯერ კიდევ კარგა ხანს შეუძლია თქვას თავისი სიტყვა.

**ქეთევან არახამია** (დაიბადა 1968 წ. 19 ივლისს) ძალების სრული გაფურჩქვნის პერიოდში იმყოფება. მას ადრეც ჰქონდა არაერთი წარმატება, მონაწილეობდა პრეტენდენტთა ასპარეზობებში, ოლიმპიადის ორგზის ჩემპიონია. ქეთევანი ბევრს თამაშობს ევროპულ ტურნირებში ინგლისსა და გერმანიაში. მართალია, ვერა და ვერ დაძლია ძველი ნაკლი — მეტისმეტად ბევრს ფიქრობს სვლაზე, მაგრამ ცაიტნოტი ხომ მარტო მტერი არ არის, არამედ ზოგჯერ მოკავშირეცაა. მას წონასწორობიდან გამოჰყავს მეტოქე, რომელიც არახამიას დროის სიმცირის გამოყენებას ცდილობს.

# ქართული „დესანტი" კიშინიოვში

**ნინო ხურციძე** (დაიბადა 1975 წ. 28 სექტემბერს) უპირველეს ყოვლისა, გამოირჩევა ბრწყინვალე საბრძოლო თვისებებით. კარგად იყენებს უპირატესობას, მაშინაც კი, როცა მძიმე მდგომარეობა აქვს, ვითომც აქ არაფერიაო, ისე აგრძელებს ბრძოლას. ნინო უკვე იყო მსოფლიო ჩემპიონი გოგონათა შორის, საქართველოს ჩემპიონი ქალთა შორის, აქვს წარმატება საერთაშორისო ასპარეზზე. ახლა მისი ამოცანაა საქართველოს ოლიმპიურ ნაკრებში მოხვედრა და პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირის საგზურის მოპოვება. ამიტომ მისთვის კიშინიოვის პაექრობას პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება.

მრავალნაცადი დიდოსტატი **ნინო გურიელი** (დაიბადა 1961 წ. 7 დეკემბერს) ადრე მონაწილეობდა პრეტენდენტთა შეჯიბრებაში, მაგრამ ბოლო წლებში ამას ვერ ახერხებდა. ნინო კარგად არის მომზადებული თეორიულად, თამაშობს ენერგიული, შემტევი სტილით. ჩინებულად ერკვევა კომბინაციურ გართულებებში. იგი ოპტიმისტურად უყურებს კიშინიოვის ასპარეზობას და თუ გავითვალისწინებთ მის შედეგებს უკანასკნელ შეჯიბრებებში, წარმატებით უნდა გადაჭრას დაკისრებული ამოცანა.

საზონათშორისო ტურნირში უროთბაშად ჩვენი ოთხი სრულიად ახალგაზრდა საერთაშორისო ოსტატის დებიუტი შედგება. ესენია: **მაია ლომინეიშვილი** (დაიბადა 1977 წ. 11 ნოემბერს), **ნატო ეძგვერაძე** (დაიბადა 1975 წ. 23 ივლისს), **ნათია ჯანჯღავა** (დაიბადა 1972 წ. 16 დეკემბერს) და **მირანდა ხორავა** (დაიბადა 1977 წ. 19 ნოემბერს). რა შეიძლება ითქვას მათ შესახებ? უპირველეს ყოვლისა, დიდად სასიხარულოა, რომ ასეთი ასაკის მიუხედავად, ჩვენი გოგონები წარმატებით იბრძვიან უკვე სახელმოხვეჭილი დიდოსტატების წინააღმდეგ და, ეტყობა, საცაა გამოვლენ თანამედროვე ჭადრაკის „ავანსცენაზე". შეიძლება ცოტა უცნაურადაც ჟღერდეს, მაგრამ ჩვენ ბევრი ვეცადეთ და ვერ გავიხსენეთ ამ ოთხეულის მიერ, ვთქვათ, ბოლო ორ წელიწადში განცდილი რაიმე მარცხი. ეს უდავოდ საყურადღებო რამ გახლავთ. დავძენთ, რომ აქამდე არც ერთ მათგანს არ უთამაშია კიშინიოვის დონის შეჯიბრებაში — გამოცდა მეტად სერიოზულია!

ნუ დაგვავიწყდება, რომ მათ გარდა კიშინიოვში კიდევ ერთი გამოჩენილი ქართველი მოჭადრაკე ითამაშებს — დიდოსტატი **ქეთევან კახიანი** (დაიბადა 1971 წ. 11 სექტემბერს). ქეთევანი ახლა გერმანიაში ცხოვრობს და ამ ქვეყნის №1 მოჭადრაკეა. პერიოდულად მას კვლავინდებურად ეხმარება ჩვენი ჩინებული მწვრთნელი გიორგი მაჭარაშვილი, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ქ. კახიანის დაოსტატებაში.

კიშინიოვში, წინასწარი ცნობებით, როგორც ვთქვით, 42 მოჭადრაკე ითამაშებს, მათ შორის ქართველების პროცენტი არნახულად მაღალია.

გივი გამრეკელი

# ტაისონი უკეთ ჩხუბობს რინგზე, მაკნილი—ქუჩაში...

კვირის პარადოქსები

**ტაისონის გამარჯვება ლას-ვეგასის სასტუმრო „გრანდ-ოტელის" არენაზე, ცხადია, ლოგიკური იყო და მას პარადოქსს ვერაფრით ვერ ვუწოდებთ. ეს კი არა, ექს-ჩემპიონმა დაამტკიცა, რომ შეუძლია თავისი ტიტულების წარმატებით დაბრუნება. პარადოქსი გახლდათ 19 აგვისტოს შეხვედრის ფინანსური ასპექტი, განსაკუთრებით თუ მას შევადარებთ იმ დღეს გამართულ სხვა ორთაბრძოლების ანალოგიურ მონაცემებს.**

მაიკ ტაისონმა პიტერ მაკნილი ნოკაუტში გაგზავნა 89-ე წამზე და ამ გამარჯვებისთვის მიიღო 25 მილიონი დოლარი (თანაც, არ დაგავიწყდეთ, რომ 16 წამი წავიდა ნოკდაუნების დათვლაზე). ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველ წამში რინგზე ყოფნისთვის მას 208 898 დოლარი გადაუხადეს. და კიდევ ერთი ფინანსური ინფორმაცია: დამარცხებულმა მაკნილმა რინგზე ყოველი დაცემისათვის (ნოკდაუნისთვის) მიიღო 350 ათასი დოლარი. თუ ჭკვიანურად მოიქცევა, მას, ფაქტობრივად, განაღდებული ექნება სიბერე.

პარადოქსი კი იმაში მდგომარეობს, რომ იმავე დღეს კრივის მსოფლიო საბჭოს (ვბს) ვერსიით გამართულ ბრძოლაში გამარჯვებისთვის ბრიუს სელდონმა (დაამარცხა ჯონ ჰიპი მეათე რაუნდში ნოკაუტით და მოიპოვა ოქროს ქამარი) მიიღო რაღაც 700 ათასი დოლარი, ხოლო წაგებულმა — 180 ათასი.

კიდევ ერთი პარადოქსი. პიტერ მაკნილის სეკუნდანტმა და მწვრთნელმა ვინი ვეიკონემ მესამე ნოკდაუნის შემდეგ თეთრი პირსახოცი გამოაგდო დანებების ნიშნად და აღიარა თავისი მოწაფის დამარცხება. პროფესიული კრივის კომისიამ ნაჩქარევად მიიჩნია მწვრთნელის გადაწყვეტილება და ყადაღა დაადო მის პირად ჰონორარს — 179 820 დოლარს. კომისიას გადაწყვეტილი აქვს საკითხი შეისწავლოს ღრმად და დეტალურად. არადა, დებულებაში ნათლად არის ნათქვამი, რომ ნოკდაუნების სიმრავლისას მსაჯმა, პირველ რიგში, მოკრივის უსაფრთხოებაზე უნდა იფიქროს. აქ, როგორც ჩანს, კომისია ითვალისწინებს იმ მაყურებლების უკმაყოფილებას, რომლებმაც 89 წამიან სანახაობაში 200-დან 1500-მდე დოლარი გადაიხადეს. ახლა რამდენიმე სიტყვა თვით ბრძოლაზე.

ჯერ დავიწყოთ იმით, რომ მოკრივეთა აწონვას 3 ათასზე მეტი კრივის მოყვარული დაესწრო. ასეთ ინტერესს მატჩის ორგანიზატორები ალბათ ელოდნენ კიდეც, მაგრამ რას იფიქრებდნენ თუ მოვლენები ასეთი სისწრაფით განვითარდებოდა.

გონგი. მაკნილი ჯიქურ გადავიდა იერიშზე. ტაისონმა ნაბიჯი გადადგა უკან, შეამჩნია მეტოქის დაუცველი ყბა და... მეშვიდე წამზე მაკნილი უკვე ნოკდაუნში იყო.

მსაჯის დათვლაზე დაზარალებული ცოცხლად წამოხტა.

მეორე შეტევა უფრო აზრიანი იყო, ყოველ შემთხვევაში მაკნილმა თავისი სიმძიმით ტაისონი ბაგირზე გადააწვინა.

პირველი წუთის მიწურულს ექსჩემპიონმა წამოიწყო დარტყმების სერია, რომელთაგან სამი თუ ოთხი ერთობ უსიამოვნო იყო მაკნილისთვის. აი, სწორედ აქ, ტაისონმა შეარჩია მომენტი და მარჯვენა აპერკოტით ისევ დააგდო მეტოქე.

გავიდა კიდევ რამდენიმე წამი და მაკნილი ბაგირთან აღმოჩნდა მომწყვდეული. მსაჯმა დააზევინა ტაისონს და მესამედ დაიწყო დათვლა. აქ გამოაგდო თეთრი პირსახოცი ვეიკონემ.



89 წამში 25 მილიონი დოლარი! ტაისონის ბიოგრაფიაში ეს ჰონორარი სარეკორდო აღმოჩნდა, ბუნებრივია, რინგზე გატარებულ დროსთან შეფარდებაში. 1988 წლის 27 ივნისს ტაისონმა 91 წამში „გაუკეთა ნოკაუტი" მაიკლ სპინქსს და 20 მილიონი მიიღო. ეს რეკორდი უკვე მოხსნილია.

არის ეჭვები, რომ ტაისონის პრომოუტერმა დონ კინგმა სპეციალურად შეარჩია ასეთი სუსტი მეტოქე და რომ მომდევნო ბრძოლაში — 4 ნოემბერს ექსჩემპიონს უფრო გაუჭირდება. თუმცა, ჯერ არავინ იცის ვის დაადგამს თვალს დონ კინგი, ვისზე შეაჩერებს თავის არჩევანს.

დაბოლოს, რამდენიმე დამატებითი ცნობა ტაისონის გუშინდელ მეტოქეზე: პიტერ მაკნილი 26 წლისაა. მისი ბაბუა საშუალო დონის მოკრივე იყო, მონაწილეობდა 1928 წლის ოლიმპიურ თამაშებში. პიტერმა კრივში მეცადინეობა დაიწყო, როცა ტაისონი ციხეში ჩასვეს. ჩაატარა 37 ბრძოლა, წააგო — 1. ზედმეტსახელი — გრიგალი. ამბობენ, ქუჩაში უკეთ ჩხუბობს, ვიდრე რინგზეო. დაამთავრა მასაჩუსეტსის საკმაოდ პრესტიჟული უნივერსიტეტი „პოლიტოლოგია — ისტორიის" განხრით. ამ მხრივ მას საკმაოდ დიდი უპირატესობა ჰქონდა ტაისონთან შედარებით, რომელმაც ციხეში ყოფნის დროს ვერ შეძლო საშუალო სკოლის კურსის ჩაბარება გაიოლებული პროგრამით. მაგრამ კრივში წარმატებას ინტელიგენტურობა თურმე სულაც არ სჭირდება.

# ბებეტო — მტირალა არტილიერო

ახალგაზრდობაში ბებეტოს ბრწყინვალე მომავალი უწინასწარმეტყველეს. სწორედ მაშინ ჟოზე რობერტო გამა დე ოლივეირას ერთმა ჟურნალისტმა „მტირალა" ფეხბურთელი უწოდა. რეპორტიორი ნაწილობრივ მართალი იყო, როცა ბებეტოს ამ ზედმეტ სახელს არქმევდა. ყმაწვილი ლამაზად თამაშობდა, იყო საოცრად ტექნიკური, ბურთს ჟონგლიორივით ფლობდა, გაჰქონდა გოლები, მაგრამ ზოგჯერ ათასობით მაყურებლის თვალწინ ატირდებოდა ხოლმე. ბებეტო ბავშვობიდან მიუჩვეველი იყო მარცხს, წაგებას. არადა, ქალაქ სალვადორის პლაჟებზე უამრავი ტექნიკური ახალგაზრდა იზრდებოდა.

თებერვალში ბებეტოს 31 წელი შეუსრულდა. ახლა მტირალა, ცხადია; აღარაა, თუმცა ბავშვობის სახელი ამ ნიჭიერ ფეხბურთელს დღემდე შემორჩა. მას დიდხანს არ სწყალობდა ბედი, ფატალურად თან სდევდა ტრავმები, მაგრამ როგორც ჩანს, ამ უსიამოვნო პერიოდმა გაიარა. ბებეტოს აღტაცებაში მოჰყავს მაყურებელი, ოღონდ მშობლიურ ბრაზილიაში კი არა, შორს, ესპანეთში, ქალაქ ლა-კორუნიას „დეპორტივოში". ამ გუნდმა რამდენიმე წელია ესპანური ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდის სახელი დაიმკვიდრა, ბებეტო კი მისი სულის ჩამდგმელია, ლიდერი და ყველა წარმატების ორგანიზატორი.

ბებეტოს ცხოვრება ფეხბურთში აღსავსეა სიხარულითა და მწარე გულისტკივილით. პირველი ნაბიჯები არ ჰქონდა გადადგმული, რომ აღფრთოვანებულმა გულშემატკივრებმა ახალი ზიკო შეარქვეს. მაშინ იგი პროვინციული კლუბის — „ბაიას" მოთამაშე იყო. 19 წლისამ გააფორმა თავის ცხოვრებაში პირველი კონტრაქტი, თანაც „ფლამენგოსთან". მაშინ, 1983 წელს ახალგაზრდა ფეხბურთელის ცხოვრება ის იყო იწყებოდა. თუმცა სჯობს ყური ბებეტოს მივუგდოთ, რომელმაც თავისი საფეხბურთო ოდისეის დეტალები „ფრანს ფუტბოლის" კორესპონდენტს გაუზიარა.

— თამაში შვიდი წლისამ დავიწყე. ბურთს დავდევდი ქალაქ სალვადორის ქუჩებში. სწორედ იქ გავუგე გემო ტექნიკას, დრიბლინგს, გოლებს. მაშინ ყველა „არტილიეროს" მეძახდა, რაც თანამედროვე ფეხბურთის ენაზე ბომბარდირს ნიშნავდა. მე, ფაქტობრივად, დავფრინავდი მინდორზე, ვინაიდან 53 კილოგრამს ვიწონიდი და ბუნებრივია არ ვიღლებოდი — თამაში საათობით შემეძლო. ბევრს ეგონა ხელს თუ მკრავდნენ, მყისვე დამაგდებდნენ მიწაზე. მცველები მაშინებდნენ, მაგრამ ადვილად ვუსხლტებოდი ხელიდან და ხახამშრალს ვტოვებდი. ტექნიკა, მოგეხსენებათ, თავის საქმეს აკეთებდა — მე ფეხზე ვიდექი და გოლები გამქონდა. რისთვისაც სხვებს წლები სჭირდებოდათ, მე დედის რძესთან ერთად დამყვა.

● **როგორც ყველა ძვირფას ქვას, ალბათ თქვენს ნიჭსაც სჭირდებოდა დამუშავება-დახვეწა.**

— ეს, რა თქმა უნდა, ასეა და მე მუდამ დიდი მადლიერების გრძნობით ვიხსენებ რობერტო ფლანკალაჩის — ფიზმომზადების გამოცდილ სპეციალისტს, რომელმაც ფეხზე დააყენა თვით ზიკო. „ფლამენგოში" მისვლისთანავე დიდ საფეხბურთო ორომტრიალში მოვხვდი. ვიცავდი კლუბის, სხვადასხვა ნაკრების ღირსებას. თავდაპირველად ცხადია, იუნიორებში ვთამაშობდი. ეს იყო დიდი დატვირთვა, თანაც ყოველდღიური ვარჯიში. და კიდევ დამატებით 3-4 საათიანი სპეციალური ფიზიკური დატვირთვები, რაც გამძლეობის გამოსამუშავებლად იყო საჭირო. ყველაფერი ეს ფლანკალაჩის მკაცრი ზედამხედველობით ხდებოდა. ერთი წლის შემდეგ ჩემი ცნობა ძნელი იყო: გავიზარდე, გავკაჟდი, შევეჩვიე მოთმინებას. მერე, კარგად მახსოვს სიმაღლეში 10 სანტიმეტრი მოვიმატე, 70 კილოგრამს ვიწონიდი. ეს უკვე ნორმალური პარამეტრები იყო.

● **და მაინც, ევროპის კლუბები დიდხანს არ გეპატიჟებოდნენ, არ მოსწონდათ თქვენი ფსიქოლოგიური სიმტკიცე, ბრძოლის უნარი.**

— ვინც ამას ამბობს, დამერწმუნეთ, ფეხბურთისა არაფერი გაეგება. ამ თამაშის მთავარი არსი ტექნიკაა. ფეხბურთი ინტელიგენტური სპორტია და არა უხეში, ძალისმიერი. მავანს ალბათ ჰგონია, რომ მე მებრძოლის თვისებები მაკლია, ვინაიდან შუბლით არ ვეჯახები მეტოქეს, ფეხებს არ ვამტვრევ და ასე შემდეგ. რად მჭირდება ყველაფერი ეს, როცა მცველის მოტყუება შემიძლია ტექნიკის ხარჯზე? თუ ამას ვერ ვახერხებ, იმას ნიშნავს, რომ ასევე ტექნიკურ მოწინააღმდეგეს შევეჯახე. აი მაშინ ვარ უბედური.

● **თუ ყველაფერი ისეა, როგორც თქვენ ბრძანებთ, რატომ ჩაიშალა თქვენი მოლაპარაკება „ბაიერნთან" და „ოლიმპიკთან" ამ ხუთიოდე წლის წინ?**

— „ბაიერნმა" სერიოზული ინტერესი გამოამჟღავნა ჩემდამი სამხრეთ ამერიკის 1989 წლის ჩემპიონატის წინ. როგორც ვიცი, კონტრაქტი იმ დროის მასშტაბებით ერთობ სერიოზული იყო და 2 მილიონ დოლარს გულისხმობდა. მაგრამ შეთანხმება ბოლო მომენტში ჩაიშალა, ვინაიდან „ფლამენგოს" პრეზიდენტმა კარდოსომ მთხოვა დროებით არ მიმეტოვებინა კლუბი, რომელსაც ხელი შევუწყვე მოეპოვებინა ბრაზილიის ჩემპიონის ტიტული. კორდოსო გამოტყდა, რომ გულშემატკივრები არ აპატიებდნენ ჩემს გაშვებას. არადა, საპრეზიდენტო არჩევნების დრო მოახლოვებული იყო. „როგორც კი არჩევნები ჩაივლის, თავისუფალი იქნებით" — მითხრა მან. არჩევნები ჩატარდა, კორდოსო პრეზიდენტად აირჩიეს, მაგრამ ... სიტყვა გატეხა, უფრო სწორად, მომატყუა.

● **„ოლიმპიკზე" რაღას იტყვით?**

— „ბაიერნთან" წარუმატებელი მოლაპარაკების შემდეგ ჩემით დაინტერესდნენ საფრანგეთში. ეს ვიცი იმპრესარიოს — მანუელ ბარბოსასაგან. იგი მარწმუნებდა უნდა ჩახვიდე მარსელში. იქ თითქოს ყველაფერი მზად იყო და მხოლოდ ჩემს ჩასვლას ელოდნენ. ჩავფრინდი. აეროპორტში არავინ დამხვდა.

„ოლიმპიკის" პრეზიდენტი ბერნარ ტაპი თავის საკუთარი იახტით ნებივრობდა რომელიღაც ოკეანეში. როგორც გაირკვა, პრეზიდენტს თავისი აგენტისთვის უთქვამს სამი ან ოთხი დღის შემდეგ შევხვდებიო. მე არ შემეძლო ლოდინი, ამდენ ხანს გაურკვევლობაში ყოფნა, მით უმეტეს, რომ ნაკრები იწყებდა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატში თამაშს.

● **მაშინვე უკან დაბრუნდით?**

— სამი დღე მაინც დაველოდე სასტუმროში. არავის დაურეკავს, არავინ მოსულა. მეოთხე დღეს ავიღე თვითმფრინავის ბილეთი და უკან გავფრინდი.

● **სამხრეთ ამერიკის ჩეპიონატზე თქვენ საუკეთესო ბომბარდირი გახდით. მერე სეზონის შედეგების მიხედვით კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელად გამოგაცხადეს. იმავე 1989 წელს კონტრაქტი გააფორმეთ ახალ კლუბთან — „ვასკუ და გამასთან".**

— „ფლამენგოს" პრეზიდენტმა ბოლოს და ბოლოს საშუალება მომცა უკეთესი კონტრაქტისთვის მომეწერა ხელი. მაგრამ ბოლო მომენტში მაინც გამომდო კვანტი, — ასეთი უპირო კაცი იყო პრეზიდენტი. „ვასკუსთან" მოლაპარაკებული ვიყავი, როცა მითხრა, იტა-




ლიის „რომას" მიეცი თანხმობა შენთან კონტრაქტზეო. აი მაშინ კი მოთმინება დავკარგე და მაგრადაც გამოვლანძღე პრეზიდენტი.

● **ამბობენ „ვასკუში" მაღალი ხელფასი დაგინიშნეს — 20 ათასი დოლარი თვეში?**

— პირველ ყოვლისა უნდა გითხრათ, რომ იქ სულ სხვა საფეხბურთო სამყაროში მოვხვდი. ეს მე მჭირდებოდა, ვინაიდან „ფლამენგო" აღარაფერს მაძლევდა ახალს. რაც შეეხება ხელფასს, ეს პირადი საქმეა და არ ღირს ამის გარჩევა.

● **ამ პერიოდში, თუ არ ვცდებით, თქვენ ევროპიდანაც გიტევდნენ?**

— მართალი ბრძანდებით. მეპატიჟებოდა „ნაპოლი", იტალიის კიდევ რამდენიმე კლუბი. მეუბნებოდნენ „ბარსელონა" 5 მილიონ დოლარს გადაგიხდისო. პირადად მე ამ კლუბების წარმომადგენლებს არ შევხვედრივარ. ყოფილა თურმე მიპატიჟება ჰოლანდიიდანაც.

● **რატომ არ თანხმდებოდით ამ წინადადებებს?**

— 89 წლის სეზონი „ვასკუში" გავატარე. ჩვენ ჩემპიონი გავხდით. მომდევნო სეზონში სრულიად მოულოდნელად „ჯოჯოხეთი" დაიწყო — ზედიზედ ათი ტრავმა მივიღე. მოვირჩენდი ერთს და რამდენიმე დღის შემდეგ ისევ კლინიკაში ვიწექი. მთელი წელი გამიცდა. ეს იყო საშინელი ბედისწერა.

● **არადა, ერთი წლის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატი იწყებოდა.**

— სწორედ ეს იყო საქმე. მსოფლიო ჩემპიონატში ჯერ კიდევ 1986 წელს უნდა მეთამაშა. ნაკრების იმედადაც ვითვლებოდი, მაგრამ ზედ ჩემპიონატის წინ დავშავდი. ოთხი წლის შემდეგ ნაკრების მწვრთნელმა ლაზარონიმ მითხრა: „ბებეტო, მე მინდა, რომ ევროპამ ნახოს ის, რაც სამხრეთ ამერიკამ უკვე იცის. ევროპამ უნდა იცოდეს რისი გაკეთება შეუძლია ერთ ფეხბურთელს". მე ვცდილობდი გამომეჩინა თავი, მაგრამ ფეხი გამუდმებით მაწუხებდა და ამიტომაც ჩემპიონატი საშუალოდ ჩავატარე. არავინ გამიგიჟებია. იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ტრავმების ახალი ციკლი დამეწყო. უკვე ცხადი გახდა ატმოსფერო უნდა შემეცვალა. გადავწყვიტე გერმანიაში გამგზავრება, მაგრამ ამ დროს ესპანეთი გამოჩნდა. მადლობა ღმერთს, რომ ბოლოს და ბოლოს „დეპორტივოში" ამოვყავი თავი.

● **ევროპაში გამგზავრება, გეშინოდათ?**

— ერთის მხრივ მეჩვენებოდა, რომ ცოტა რამ მიეეცი „ვასკუს". მეორეს მხრივ ვგრძნობდი, რომ ევროპაში სხვა ცხოვრება მექნებოდა. ვყოყმანობდი მხოლოდ ოჯახის გამო. არ ვიცოდი როგორ შეეგუებოდნენ ახალ გარემოს მეუღლე მონიკა და პატარა რობერტ ნილტონი.

● **მორწმუნე თუ ხართ?**

— დიახ, ვარ კათოლიკე, ეკლესიის წინ მუდამ ვიწერ პირჯვარს.

● **ესპანეთში მოწყენილი ხომ არ ხართ?**

— ლა-კორუნია პატარა ქალაქია. ეს არც სალვადორია და მით უმეტეს, არც რიო-დე-ჟანეირო. ლა-კორუნია ლამაზი, მხიარული, მზიანი ადგილია დედამიწაზე. ამასთან, რიაზორის პლაჟი ძალზე მაგონებს რიოს კატაკაბანას. ბევრი საერთოა საჭმელებშიც: ბოსტნეული, ხილი, თევზი. საყვარელ რესტორანში ფულს არ მართმევენ — ეს ცოტა არ იყოს უხერხულ მდგომარეობაში მაგდებს. ბოლოს რესტორნის მეპატრონეს შევუთანხმდი, რომ ღვინოში მაინც გადავიხდიდი ფულს.

● **კი მაგრამ, თქვენ ხომ არც ეწევით და არც სვამთ?**

— ესპანეთში ჩვევა ოდნავ შევიცვალე. მწვრთნელი პირდაპირ გვაიძულებს თამაშის წინ დავლიოთ ერთი ჭიქა ახალი ღვინო. ეს მართლაც მატებს ტონუსს.

● **თუ არ ვცდები „დეპორტივოში" არ უნდა იყოთ ერთადერთი ბრაზილიელი?**

— ესპანეთში მაურო სილვასთან ერთად ჩამოვედი. იგი ცნობილი ოსტატია, პირველი ნაკრების მოთამაშე. „დეპორტივოში" კარგად მიგვიღეს და ჩვენც ვცდილობდით იმედები გაგვემართლებინა. საერთოდ ევროპაში ბრაზილიელ ფეხბურთელებს აფასებენ. კლუბმა თუ მოისურვა, ჩემი გაყიდვით ვიცი, დიდ ფულს გააკეთებს.

● **ამერიკის მსოფლიო ჩემპიონატში ბრაზილიის გამარჯვება დამსახურებულად მიგაჩნიათ?**

— ჩვენ დიდხანს არ გვწყალობდა ბედი მსოფლიოს ჩემპიონატებში. მაგრამ ბოლოს სამართალმა პური ჭამა. ახლა დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, შეძლებენ თუ არა ბრაზილიაში 94 წლის გუნდის შენარჩუნებას.

● **გჯერათ, რომ ეს შესაძლებელია?**

— რომ არ მჯერა ამიტომაც ვამბობ, თუმცა ჩემი ადგილი ახალ გუნდში ალბათ არ იქნება.

## მარკო ვან ბასტენი მიდის ფეხბურთიდან

**თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი ფეხბურთელი, 30 წლის ჰოლანდიელი ფორვარდი მარკო ვან ბასტენი, ევროპის „ოქროს ბურთის" ორგზის მფლობელი, მიდის აქტიური ფეხბურთიდან. 1980 წლის მერე ეს შესანიშნავი ოსტატი ბრწყინავდა მწვანე მინდორზე ჯერ ახალგაზრდულ, მერე მოზრდილთა გუნდებში. იტალიის ცნობილი „მილანის" იმედები, რომ იგი მოირჩენდა ფეხის მძიმე ტრავმას, არ გამართლდა, მარკო ვან ბასტენი, სამწუხაროდ, იძულებულია წავიდეს ფეხბურთიდან. მისი მკურნალი ექიმის რენე მარტის ყოველგვარი მცდელობა ამაო გამოდგა, დიდი ოსტატი ბურთს ველარ ითამაშებს.**

● ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირმა 17 აგვისტოსათვის უძლიერესთა ახალი რეიტინგი გამოაცხადა: 1. ტონი რომინგერი (შვეიცარია) — 3242 ქულა. 2. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი) — 2158, 3. მიგელ ინდურაინი (ესპანეთი) — 1953, 4. ალექს ცულე (შვეიცარია) — 1543, 5. კლაუდიო კიაპუჩი (იტალია) — 1463, 6. იოჰან მიუზეუვი (ბელგია) — 1310, 7. ევგენი ბერზინი (რუსეთი) — 1262, 8. მაურიციო ფონდრიესტი (იტალია) — 1122, 9. ფრანჩესკო კასაგრანდე (იტალია) — 1060, 10. პასკალ რიშარი (შვეიცარია) — 960.

● მაკოლი-ბრუნოს ორთაბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის გამოსავლენად მაინც შედგება. ბრიტანეთის კრივის საბჭომ მოუხსნა ბრალდება ამერიკელ ოლივერ მაკოლის მეტოქის შეურაცხყოფისათვის. მატჩი (ვბს-ს ვერსიით) დანიშნულია სექტემბრისათვის, მაგრამ შეიძლება გადაიდოს. ამასობაში ბრიტანეთის კრივის საბჭომ 5 ათასი დოლარით დააჯარიმა ინგლისელი კრის იუბეკი (საშუალო წონა), რომელმაც მაკოლის მსგავსად, უდიერად მოიხსენია მეტოქე — სტივ კოლინზი.

## რა ხდება ქვეყანაზე

● ვენის „შტადპალეს" აუზში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი სინქრონულ ცურვაში. ერთეულთა შორის წარმატებით იასპარეზა საქართველოში აღზრდილმა და ამჟამად საბერძნეთში მცხოვრებმა ხრისტინა ფალასანიდიმ. მას ბრინჯაოს მედალი ერგო — 95,360 ქულა. „ოქრო" და „ვერცხლი" კი დაისაკუთრეს ოლგა სედაკოვამ (რუსეთი) — 99,160 და მარიანა ეშერბაპმა (საფრანგეთი) — 97,520.

● 61 წლისა გარდაიცვალა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის სამედიცინო კომისიების წევრი, ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული სპეციალისტი დოპინგის საკითხებში, გერმანელი პროფესორი მანფრედ დონიკე. იგი 1980 წლიდან ხელმძღვანელობდა სოკის ქვეკომიტეტის დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის დარგში და კიოლნის უნივერსიტეტის ბიოქიმიის ინსტიტუტს. საინტერესოა, რომ ყველა ანტისადოპინგო მეთოდიკა მისი შემუშავებულია.

● გაიმართა პროფესიონალ ველოსიპედისტთა მსოფლიო თასის მეათე ეტაპი — ე.წ. „ციურიხის ღია ჩემპიონატი". 235-კილომეტრიანი დისტანციაზე ყველას აჯობა ბელგიელმა იოჰან მიუზეუვმა („მაპეი ბიჯი"), მომდევნო ადგილები ხვდათ იტალიელებს ჯანი ბუნიოსა („ემჯი") და ჯორჯო ფურლანს („გევისი"). სამივეს ერთნაირი დრო ჰქონდათ — 5:34.15. ათი ეტაპის შემდეგ ლიდერთა საშეულში არიან: მიუზეუვი — 199 ქულა, ლორან ჟალბერი (საფრანგეთი) — 111 და მაურიო ჯანეტი (შვეიცარია) — 100.

● რამდენი ხანია, რაც „ტურ დე ფრანსის"

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### ფიფას პოზიცია პრინციპულია

სულ მალე, 10 სექტემბერს, აღინიშნება შესანიშნავი გერმანელი ფეხბურთელის ფრანც ბეკენბაუერის დაბადების 50 წლისთავი, ამასთან დაკავშირებით გაიმართება საიუბილეო მატჩი იმ გამოჩენილ ოსტატთა მონაწილეობით, რომლებსაც თვით „კაიზერი" მიიწვევს.

ასეთთა შორის იყო არგენტინელი ვარსკვლავი დიეგო მარადონაც, მაგრამ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ პრინციპულობა გამოიჩინა და ფ. ბეკენბაუერს შეატყობინა, რომ მარადონას დისკვალიფიკაციის ვადა მხოლოდ სექტემბრის ბოლოს გაუვა, 10 სექტემბერს იგი მინდორზე ვერ გამოვა, ამიტომაც ბეკენბაუერმა სხვა კანდიდატი უნდა ეძიოს. თვით მარადონა ბუენოს-აირესის „ბოკა ხუნიორსში" ითამაშებს 1 ოქტომბერს ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში კორეის ნაკრების წინააღმდეგ.

### უელსელთა ახალი მწვრთნელი

უელსის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები, იმის მიუხედავად, რომ იქ ინგლისის კლუბების ცნობილი მოთამაშეები გამოდიან, ერთობ უფერულად გამოიყურება ევროპის ჩემპიონატის VII შესარჩევ ჯგუფში (5 წაგება, 1 ფრე, 1 მოგება) და ბოლო ადგილზე იმყოფება. მას არც უახლოეს ადრინდელ პერიოდში ჰქონია რაიმე წარმატება, კერძოდ, ვერ მოხვდა 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის გადამწყვეტ ეტაპზე, ამიტომაც აქ ძველ მეთოდს მიმართავენ — ცვლიან მწვრთნელებს. ბოლო ორ სეზონში გამოცვალეს ტერი იორატი, ჯონ ტოშაკი, ახლა კი მაიკ სმითი. ამ უკანასკნელის ნაცვლად დანიშნეს ინგლისელი ბობი გოულდი, რომელიც წარსულში ინგლისის ძლიერ საკლუბო გუნდებში გამოდიოდა, კერძოდ, ლონდონის „არსენალში".

● ესპანეთის ორი ცნობილი კლუბის „სევილიისა" და „სელტას" გარშემო დიდი ამბავი ატყდა. ესპანეთის საფეხბურთო ფედერაციამ, ორივე გუნდი პირველიდან მესამე ლიგაში გადაიყვანა. მიზეზი ის იყო, რომ მათ დროზე ვერ წარადგინეს თავიანთი საფინანსო გარანტიები. საპროტესტო დემონსტრაციებით გამოდიოდნენ გულშემატკივრები, სპორტული ორგანიზაციები, მოსახლეობა.

და, აი, გაიმართა ესპანეთის საფეხბურთო ლიგის გენერალური ასამბლეის სხდომა, იგი 4 საათს გაგრძელდა. „სევილიაც" და „სელტაც" დატოვეს პირველ ლიგაში, მათთან ერთად დატოვეს „ალბასეტე" და ვალიადოლიდიც", რომლებსაც წინა წარუმატებელი სეზონის გამო მეორე ლიგაში მოელოდათ გადაბარგება. ამის შედეგად ესპანეთის პირველი ლიგა 20-დან გაიზარდა 22 გუნდამდე, ძველ კვოტას კი ესპანეთში დაუბრუნდებიან ორი წლის შემდეგ.

● ალექსანდრე ზავაროვი არ ეშვება ფეხბურთს: კიევის „დინამოსა" და ყოფილი სსრ კავშირის ნაკრების თავდამსხმელი ჯერ გადავიდა იტალიის „იუვენტუსში", შემდეგ — საფრანგეთის „ნანტში", მერე თითქოს წავიდა ფეხბურთიდან, მაგრამ გამოირკვა, რომ 34 წლის ა. ზავაროვი კვლავ თამაშობს. ამჯერად იგი ჩაირიცხა საფრანგეთის ჩემპიონატის მეოთხე დივიზიონის „სენ-დიზეში".

● ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ რუსეთის ნაკრების ფეხბურთელი ანდრეი კანჩელსკისი ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედიდან" გადავიდა „ევერტონში", ტყუილი გამოდგა. ა. კანჩელსკისი კვლავ „მანჩესტერ იუნაიტედში" დარჩება.

● დრეზდენის „დინამოსა" და რუსეთის ნაკრების მეკარე სტანისლავ ჩერჩესოვი დროებით, წლევანდელი დეკემბრის შუა რიცხვებამდე, ითამაშებს მოსკოვის „სპარტაკში". მას უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ევროტურნირებშიც (ჩემპიონთა თასი).

● საოცარი ანგარიშით დამთავრდა ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა ესპანეთის ქალაქ კარტახენაში ლა-კორუნიას „დეპორტივოსა" და მიუნხენის ცნობილ „ბაიერნს" შორის. ანგარიშით 7-0 გაიმარჯვეს ესპანელებმა, 3 ბურთი გაიტანა ბებეტომ, 2 — ფრანმა, თითო — ბეგირინსტაინმა და ალდანამ.

● უნგრული ფეხბურთის მძიმე კრიზისი გრძელდება. უნგრელებმა ამას წინათ შიოფოკში ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში უმასპინძლეს ისრაელის ნაკრებს და მარცხი იწვნიეს 0-2.

● ჰოლანდიის სუპერთასის მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ „ფიენოორდი" და „აიაქსი". მატჩი შედგა როტერდამში და დამთავრდა „აიაქსის" გამარჯვებით — 2-1.

## რა ხდება ქვეყანაზე

ხუთგზის ჩემპიონი ესპანელი მიგელ ინდურაინი არ გამოსულა მშობლიურ „ვუელტაში", რომელიც სამიდან ერთ-ერთ პრესტიჟულ ველორბოლად ითვლება. იყო ჭორები, თითქოს დონ მიგელი წლეულს უსათუოდ გააბედნიერებდა ესპანელებს „ვუელტაში" მონაწილეობით, მაგრამ თავად ველოსიპედისტმა უარყო ისინი. — სამკვირიანი რბოლის გაძლებას უმაღლესი მოტივაცია სჭირდება. მე კი ეს არა მაქვს. ამიტომ ვერც სურვილს გამოვხატავ და ვერც ენთუზიაზმს. მთავარი კი ის არის, რომ ფიზიკურად ვერ ვგრძნობ თავს ყოჩაღად. წაგება და ამასთან დაკავშირებული სენსაციები კი სრულებით არ მაძლევს ხელს, — განაცხადა დონ მიგელმა ესპანელ ჟურნალისტებთან საუბარში.

# UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

(პირველი გვერდიდან).

სელია), ცომაია (ამაშუკელი), გოგიაშვილი (ჯელაძე), გ. დარასელია, დ. ჯანაშია, ზ. ჯანაშია, ჩხაიძე.

„ვარდარი“: ზეკირი, სტანკოვსკი, კარაჯოვი, მირკოვსკი, ნიკოლოვსკი, იოვანოვსკი, ვუიოვიჩი (პიაჩო), შაინოვსკი (ტალოვი), პეტრევსკი, სერაფიმოვსკი, შუკირი (გიორგიევსკი).

მსაჯი — რუდი (პოლონეთი)

გოლები: ნიკოლოვსკი, პეტროვსკი.

სტუმრად ანგარიშით 0:1 წაგებული მატჩის შემდეგ ჩვენს გულშემატკივრებს სამტრედიელთა მიერ ევროპული ტურნირის პირველი ბარიერის დაძლევის დიდი იმედები ჰქონდათ და მატჩის დაწყებისთანავე ხმამაღალი შეძახილებით ამხნევებდნენ მათ.

ჩვენებმა პირველივე წუთებიდან ენერგიულად შეუტიეს მეტოქეს, მე-5 წუთზე კი ზ. ჯანაშიას ძლიერი დარტყმა ძლივს მოიგერია მეკარემ. ცოტა ხნის შემდეგ ჯიშკარიანს ჰქონდა გოლის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ ისევ მეკარემ იმარჯვა.

მეტოქის შტურმის შესანელებლად და სულის მოსათქმელად სტუმრებმა ნაადრევად მიმართეს დროის გაყვანის ტაქტიკას, რისთვისაც ყვითელი ბარათიც კი დაიმსახურეს (ნიკოლოვსკი).

მე-18 წუთზე, როცა სამტრედიელთა ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობა უკვე გამოკვეთილი იყო, სტუმრების პირველივე კონტრშეტევა წარმატებით დაგვირგვინდა — მეკარე ჭანტურიას მიერ მოგერიებულ ბურთს მიუსწრო სერაფიმოვსკიმ და გოლიც გაიტანა. დადუმებულ სტადიონზე „ვარდარის“ ოციოდე გულშემატკივრის მოზეიმე შეძახილები და სიმღერა გაისმა, რომელიც დიდხანს არ შეწყვეტილა.

ტაიმის დასასრულამდე რვა წუთით ადრე სამტრედიელებმა კიდევ ერთი დასანანი შეცდომა დაუშვეს და პეტრევსკიმ დაახლოებით 22 მეტრიდან ზუსტი დარტყმით ანგარიში ორამდე გაზარდა.

შესვენების შემდეგ მინდორზე ბადრი დარასელიასა და ჯელაძის გამოსვლამ კიდევ უფრო გაააქტიურა მასპინძლები, მაგრამ, სამწუხაროდ, დარტყმები უზუსტო იყო, ზ. ჯანაშიას ცენტრში ჩაწოდებებს კი ადვილად ეუფლებოდნენ „ვარდარის“ ტანმაღალი მცველები. აი, სტუმრების შეტევები უფრო მწვავე და გამიზნული იყო. სამტრედიელთა კარი რამდენიმეჯერ გადაურჩა მესამე გოლს.

პრესკონფერენციაზე მასპინძლების მწვრთნელმა მურთაზ ხურცილავამ აღნიშნა, რომ მარცხი გუნდის წინაშე არსებული პრობლემების ლოგიკური შედეგი იყო. ჟურნალისტთა დაჟინებული თხოვნის მიუხედავად, მწვრთნელს არ დაუკონკრეტებია რა პრობლემებს გულისხმობდა.

სტუმრების მწვრთნელმა მაღალი შეფასება მისცა როგორც მაყურებლის ობიექტურობას, ისე რეკონსტრუირებულ სტადიონს...

ბათუმში გამართული ორივე მატჩის მიმოხილვა მოგვაწოდა „ლელოს“ საკუთარმა კორესპონდენტმა აჭარაში დავით ბარამიძემ.

## „დინამო“ (თბილისი) — „ბოტევი“ (ბულგარეთი)

**0-1 (0:0)**

თბილისი. 22 აგვისტო. ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი.

„დინამო“: ზოიძე, ფირცხალავა, ლობჟანიძე, დიდავა, მაჭავარიანი, გოგიჩაიშვილი, კობიაშვილი, იაშვილი, კაჭარავა, ხომერიკი (დემეტრაძე 69), ცქიტიშვილი (კიკნაძე 76).

„ბოტევი“: მიხაილოვი, ლუკოვი, გ. პეტროვი, სემიონოვი, შოპოვი, ა. პეტროვი, მარკოვი, პ. პეტროვი (სივინოვი 80), გეროვი (ივანოვი 62), სადიკოვი (დემეჯიევი 70), ვედილოვი.

მსაჯი: ვებერი (გერმანია).

გააფრთხილეს: ხომერიკი, კაჭარავა, სემიონოვი, სადიკოვი, გ. პეტროვი.

მინდვრიდან გააძევეს კობიაშვილი 90.

გოლი: ვედილოვი 90.

გუნდის ირგვლივ ასეთი ინფორმაციული სიმწირე მასპინძელთა გულშემატკივრებს, არასოდეს ჰქონიათ. ამომწურავ ცნობებს, ამ მხრივ ალბათ ვერც მთავარი მწვრთნელი მოგაწვდით. რადგან, მოგეხსენებათ, დავით ყიფიანმა სულ ახლახან ჩაიბარა „დინამო“. მისი მოსვლა დაემთხვა მოთამაშეთა ინტენსიურ დენადობას, ადრინდელ შემადგენლობას მხოლოდ მეკარე ზოიძე შემორჩა. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ მწვრთნელს დღეს დიდი თავსატეხი აქვს გუნდის ოპტიმალური შემადგენლობის შესარჩევად. ყიფიანი კი ნამდვილ ციტნოტში აღმოჩნდა. ერთი საქმეა მოთამაშეთა გამოცდა ეროვნულ ჩემპიონატში, და სულ სხვაა ევროტურნირის მეტად შემჭიდროებული ორრაუნდიანი ზღუდის დაძლევა. ამიტომაც გასაკვირი არაა რომ, მწვრთნელი მატჩიდან მატჩამდე საგრძნობლად ცვლის გუნდის შემადგენლობას.

ამ მხრივ, აშკარად გაუმართლა მის ბულგარელ კოლეგას ათანას დრამოვს. მართალია, ისიც ახლახან დაინიშნა „ბოტევის“ ხელმძღვანელად, მაგრამ, ამ მოკლე დროშიც მოასწრო ბევრის გაკეთება. მისი გუნდი აწყობილი მექანიზმივით თამაშობს, მოთამაშეები მკაცრად იცავენ სათამაშო დისციპლინას, შეუჩვეველი თვალი ძნელად გამოარჩევს რაღაც ინდივიდუალური თვისებებით რომელიმეს. ასეთ ორგანიზებულ მეტოქესთან ჰქონდა საქმე „დინამოს“ ევროტურნირის განმეორებით მატჩში.

დინამოელთა თავდამსხმელებმა იაშვილმა და ხომერიკმა, რომელთაც მინდვრის სიღრმიდან აწვდიდნენ ბურთს კაჭარავა და გოგიჩაიშვილი, ვერაფრით ვერ შექმნეს სახიფათო მომენტი სტუმრების კართან, რომელსაც საიმედოდ „კეტავდა“ დაცვის ხაზი და ბულგარეთის ეროვნული გუნდის მეკარე ბ. მიხაილოვი.

„ბოტევი“ მთელი თამაშის განმავლობაში უშუალოდ კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა, რადგან შინ მოპოვებული ერთგოლიანი წარმატებაც ხელს აძლევდა გათამაშების შემდგომ ეტაპზე გასასვლელად. ამდენად სანახაობრივი თვალსაზრისით, დასამახსოვრებელი არაფერი შეუქმნია, თუ ანგარიშში არ ჩავაგდებთ იმ ერთადერთ, უნაკლოდ შესრულებულ საჯარიმოს საკმაოდ შორი მანძილიდან შეხვედრის ბოლო წუთზე დინამოელთა კარში, ბურთი შორეულ კუთხეში ზუსტად გაგზავნა მარცხენა გარემარბმა ვედილოვმა და წერტილი დაუსვა შეხვედრას.

უშანგ ჭიჭინაძე

# რობიზონ ნუსხელაძე



ლავრისხეველი ჭაბუკი სხვა კასპელი თანატოლებივით ქართულ ჭიდაობაზე ოცნებაში ალამებდა და ათენებდა. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო და დიდ ასპარეზზე გამოსვლასაც აღარაფერი აკლდა, როცა მოულოდნელმა ტრავმამ ფრთები შეაკვეცა მის ოცნებას.

რობიზონ ნუსხელაძემ თემქის დასახლებაში საკუთარი სახსრებით ჩამოაყალიბა ვახტანგ ბალავაძის სახელობის ქართული ჭიდაობის სპორტული კლუბი ღია საჭიდაო არენით. მწვრთნელადაც თვითონ მუშაობდა ყოველგვარი საზღაურის გარეშე. ამას მოჰყვა მისივე ინიციატივით მოწყობილი ქართული ჭიდაობის არენები უნივერსიტეტსა და ავჭალის ბავშვთა კოლონიის ტერიტორიებზე. იგი იყო თბილისში ქართული ჭიდაობის საერთაშორისო ტურნირის ჩატარების იდეის ავტორი, რომელიც წარმატებით განხორციელდა. მისივე მცდელობით დამყარდა კონტაქტები ფერეიდანსა და თურქეთში მცხოვრებ ქართველებთან. ოცნებობდა, რომ სამშობლოს მოწყვეტილი ჭაბუკები ეზიარებინა ქართული ჭიდაობის მადლს, „ვინძლო იავნანასავით იმოქმედოსო“.

ბოლო წლებში საქართველოს მთელ რიგ სოფლებში თითქმის ყოველ კვირას იმართება ქართული ჭიდაობის დღესასწაულები, რომლის ერთ-ერთი ინიციატორი და ხელმძღვანელი ბატონი რობიზონი იყო.

20 აგვისტოს მუხრანში იყო მიწვეული. სოფლის ღია პირველობა უნდა ემსაჯა. წინა დღეს გულმა უმტყუნა...

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი,
ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია

## გამარჯვება მიენიჭა „დაგ“-ს

უეფას საკონტროლო სადისციპლინო კომიტეტმა გააუქმა თასების მფლობელთა თასის გათამაშების შესარჩევი ეტაპის მატჩის შედეგი ლატვიის „დაგ“-სა და ესტონეთის „ლანტანას“ შორის. ლატვიელებმა საკუთარ მინდორზე მარცხი იწვნიეს ანგარიშით 1-2, მაგრამ როგორც დადგინდა, გადამწყვეტი ბურთი გაიტანა ა. ბორისოვმა, მას კი დისკვალიფიკაციის გამო თამაშის უფლება არ ჰქონდა.

გამარჯვება მიანიჭეს „დაგ“-ს ანგარიშით 3-0.

# გერმანელთა ახალი შემადგენლობა

6 სექტემბერს საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს მართავს გერმანიის გუნდთან. უფროსმა მწვრთნელმა ბერტი ფოგტსმა რამდენიმე ახალი მოთამაშე შეიყვანა თავის ნაკრებში, რის შედეგადაც საგანაცხადო სიაში აღმოჩნდნენ:

ოლივერ კანი, ანდრეას კეპკე, შტეფან კლოსი, მარკუს ბაბელი, თომას ჰელმერი, იურგენ კოლერი, შტეფან როიტერი, მათიას ზამერი, თომას შტრუნცი, ქრისტიან ციგე, მარიო ბასლერი, დიტერ აილცი, შტეფან ფროინდი, იერგ ჰაინრიხი, ანდრეას მეიერი, მეჰმედ შოლი, ჰაიკო ჰერლიხი, ულფ კირსტენი, ფრედ ბობიჩი, მარკო ჰაბერი, ბრუნო ლაბადია, მარტინ შპანრინგი და იენს ტოდტი.

უცხოეთის პრესა აღნიშნავს, რომ გერმანელთა რიგებში 6 სექტემბერს ვერ ითამაშებენ იურგენ კლინსმანი, მათიას ზამერი და ულფ კირსტენი, საეჭვოა ქრისტიან ციგეს მონაწილეობაც.

გერმანიის გუნდი 24 აგვისტოს ბრიუსელში შეხვდა ბელგიის ეროვნულ ნაკრებს. თამაში დამთავრდა გერმანელთა გამარჯვებით 2-1, ეს მატჩი მიეძღვნა ბელგიური ფეხბურთის 100 წლისთავს.

ბერტი ფოგტსმა განაცხადა, რომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოს გუნდთან მომავალ შეხვედრას, აღნიშნა, რომ გერმანელთა ეროვნული გუნდი ორი თვეა ერთად არ შეკრებილა და, გარდა ამისა, იგი ოდნავ შესუსტებულია წამყვანი მოთამაშეების არყოფნის გამო.

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

პირველი ჯგუფი • IV ტური

„ეგრისი“ (სენაკი) — „შევარდენი-1906“ (თბილისი) 1-4
„ივერია“ (ხაშური) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი) 0-4
„კახეთი“ (თელავი) — „დილა“ (გორი) 2-2
„გურია“ (ლანჩხუთი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 0-3
„დურუჯი“ (ყვარელი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 0-6
„სიონი“ (ბოლნისი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 5-2
გამოტოვებული მატჩი: „სამტრედია“ — „სიონი“ 5-0.

ამრიგად, სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცნენ რუსთავის „მეტალურგის“ და ქუთაისის „ტორპედოს“ საფეხბურთო კლუბები, რომლებსაც ოთხოთხი მოგება აქვთ.

ათენის „პანათინაიკოსი“, როგორც ჩანს, არ ხუმრობს და სერიოზულად ფიქრობს დაიმკვიდროს ერთ-ერთი მოწინავე ადგილი ევროპის საკალათბურთო ელიტაში. ამას ისახავდა მიზნად ნბა-ს სუპერვარსკვლავთან დომინიკ უილკინსთან დადებული ხელშეკრულება, რომელმაც, თქმა არ უნდა, ერთიორად გააძლიერა გუნდი. იმავე მიზანს ემსახურება 31 წლის ხორვატ სტოიან კრანკოვიჩთან (217 სმ) კონტრაქტის ვადის გაგრძელება ერთი წლით და ამაში 1,8 მილიონი დოლარის გადახდა, მაგრამ ეს კიდევ არ არის ყველაფერი. კლუბის ხელმძღვანელობამ მწვრთნელად მოიწვია ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი, სერბი ბოჟიდარ მალკოვიჩი, რომელიც მანამდე საფრანგეთის „ლიმოჟთან“ მუშაობდა. საბერძნეთის ჩემპიონატში „პანათინაიკოსი“ შარშან მეორე იყო. ახალ სეზონში გუნდი, ბუნებრივია, ჩემპიონობისთვის იბრძოლებს.

## კალათბურთის ქრონიკა

თავისი საერთაშორისო ამბიციების დაკმაყოფილებას ცდილობს ისრაელის კალათბურთის ლიდერი, თელ-ავივის „მაკაბიც“. მან საგრძნობლად გადაახალისა შემადგენლობა. გუნდი დიდ იმედებს ამყარებს ამერიკულ დუეტზე — 36 წლის თავდამსხმელ რონ ანდერსონსა და მცველ ბრედ ლიფიზე. ადგილობრივ კალათბურთელთაგან შეიძლება ცენტრალური თავდამსხმელის შტაინჰაუერის გამოყოფა, რომელსაც წესით გვერდი უნდა დაუმშვენოს იუგოსლაველმა ჩურჩიჩმა. და მაინც სპეციალისტებს სეზონის მთავარ აღმოჩენად მიაჩნიათ 21 წლის გათამაშებელი ოდედ კარდეში, რომელმაც ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა ამას წინათ ტალინში გამართულ ახალგაზრდა კალათბურთელთა ევროპის პირველობის შესარჩევ ტურნირში.



ქარატე. აზიის 12 ქვეყნის 14 გუნდი მონაწილეობდა კიოკუშუნკაი კარატეში ირანში (ქ. ჩალუსი) გამართულ საერთაშორისო ტურნირში. მიიწვიეს საქართველოს წარმომადგენლებიც („შევარდენისა“ და სპორტის ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაციის საქართველოს ფილიალის ნაკრები). ჩვენს ნაკრებში გამოდიოდნენ: ი. დოლაბერიძე, ა. ჩუბინიძე, ი. მიქელაშვილი, ზ. ზაქარიაძე (ყველა — თბილისი), ზ. მოისწრაფიშვილი (ბათუმი), ფილიალის ხელმძღვანელები ა. შენგელია და ა. გორგასლანიძე.

საქართველოს ნაკრები IV ადგილზე გავიდა (ეს ადგილი კარატეში საპრიზოა). შეჯიბრების მონაწილეებზე და ორგანიზატორებზე გურჯისტანელებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს, მათ თასი, მედლები და დიპლომები გადაეცათ.

ნინო სალბიშვილი

# კროსვორდი



თარაზულად: 5. წარსულში ცნობილი ქართველი ფალავანი (8-ასოიანი); 6. სპორტის ინდივიდუალური მასობრივი სახეობა (8); 8. სპორტსმენთა ყიდვა-გაყიდვა (9); 11. ლეგენდარული ირანელი ფალავანი (5); 14. იაპონელი ძიუდოისტი — ოლიმპიური ჩემპიონი (5); 15. ქალაქი, ფიფას შტაბ-ბინის ადგილი (7); 16. საერთაშორისო ჰოკეის მოღვაწე, რომლის სახელობის თასის გათამაშება ეწყობა ამერიკის კონტინენტზე (6); 17. ზამთრის სათხილამურო ცენტრი იუგოსლავიაში (6); 21. ცნობილი ქართველი ფეხბურთელი — მეკარე (7); 22. ქალაქი ფილიპინებზე, სადაც ტარდება საჭადრაკო ტურნირები (5); 23. ამერიკელი ჩოგბურთელი (5); 26. რუსი კალათბურთელი, რომელიც თამაშობდა თბილისის „დინამოში“ (9); 27. სპორტის ზამთრის სახეობა (8); 28. პოპულარული დანიელი ფეხბურთელი (8).

შვეულად: 1. მებაირაღე — მედროშე (8); 2. სიგრძის საზომი (5); 3. ტანვარჯიშული ილეთი, რომელსაც უბადლოდ ასრულებდა ა. აზარიანი (5); 4. დაცვის ელემენტი კალათბურთში (8); 7. პოპულარული საჭადრაკო ჯილდო (6); 9. მოწინააღმდეგის ძლევის ხელოვნება, ოსტატობა (9); 10. წყალქვეშ სასუნთქი აპარატი (9); 12. ცნობილი გერმანელი ფეხბურთელი (7); 13. სახელოვანი ქართველი ველოსიპედისტი (7), 18. ერთ-ერთი უძლიერესი საფეხბურთო ქვეყანა (8); 19. სპორტსმენთა ერთ-ერთი პროფესიული დაავადება (6); 20. სიმაღლეზე ხტომაში ახალი სტილის დამამკვიდრებელი სპორტსმენი (8); 24. სპორტული ნავი (5); 25. კიკბოქსინგის იაპონელი ოსტატი, რომელიც შ. ჩოჩიშვილსაც შეხვდა (5);

**„ლელოს“ 31-ე ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 4. ანდორა, 6. ძურილა, 9. ლასკერი, 11. შეკრება, 12. ანტალია. 14. ბრასი, 16. სვანი, 19. რაგბი, 21. ამორო, 22. ფრე, 23. მაკაბიადა, 24. ტაო, 27. ტურნე, 29. ჟიური, 30. ნარდი, 31. მოროუ, 33. ძლიერად. 35. დებიუტი, 36. „ვერდერი“, 37. პიჩერი, 38. „ომონია“.

შვეულად: 1. სროლა, 2. ბარკლი, 3. გუნია, 5. ნაკრები, 7. ლატარია, 8. შედეგი, 10. ხიტროუ, 13. არარატი, 15. სწრაფად, 17. ვალდანო, 18. რომარიო, 20. დუბლი, 25. ტრიალი, 26. დუნსტი, 28. „ენფილდი“, 29. ჟუნიორი, 32. კადეტი, 34. დვირი, 35. დიუმი.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი და ფარიკაობის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს მოფარიკავეთა ნაკრები გუნდის ყოფილი წევრი, სპორტის ოსტატი

**გიული (გიჟი) ბახტაძე**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380096, მ.კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. • „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გ. სიმონიშვილი. შემსრულებლები: ე. მანგოშვილი, ნ. რამიშვილი, მ. ჭილაური.